

წყალტუბოს
მუნიციპალური ნარჩენების მართვის

გეგმა

2023-2027



2022

შინაარსი

შესავალი	3
1. არსებული მდგომარეობა	4
1.1 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მარეგულირებელი და საკანონმდებლო საფუძვლები	4
1.2 წყალტუბოს მუნიციპალიტეტის აღწერა და დემოგრაფიული მონაცემები.....	6
1.3. გეგმის ჩარჩო.....	11
1.4. სამუშაო ჯგუფი.....	11
2. მუნიციპალური ნარჩენების დახასიათება	13
2.1 გეგმაში მიმოხილული ნარჩენების სახეობები.....	13
2.2 ნარჩენების რაოდენობა.....	13
2.3. ნარჩენების წარმოქმნა ტურისტების მიერ	14
2.4. ნარჩენების შემადგენლობის ანალიზი	15
3. მუნიციპალური ნარჩენების მართვის არსებული სისტემის მიმოხილვა	15
3.1. არსებული მუნიციპალური მომსახურების აღწერა	15
3.2 შეგროვების და ტრანსპორტირების მომსახურება	16
3.2.1. შეგროვების და ტრანსპორტირების საშუალებები და საოპერაციო პროცესები.....	16
3.2.2. შეგროვების მომსახურების დაფარვის არეალი.	17
3.3. ქუჩების დასუფთავება	20
3.4 ნარჩენების განთავსების არსებული ობიექტები	20
3.4.1. ნარჩენების განთავსების ოფიციალური ნაგავსაყრელი.	20
3.5. ნარჩენების სეპარირება და გადამუშავება.....	20
3.5.1.ნარჩენების სეპარირება.....	20
3.5.2. კომპოსტირება	22
3.6. სახიფათო ნარჩენები	22
3.7. ინერტული ნარჩენები.....	23
3.8. ხარჯები და ხარჯების ანაზღაურება	23
3.9. ბიუჯეტი და დაფინანსების პროცესები.....	24
4. ნარჩენების მართვის მომავალი ვარიანტების ანალიზი და რეკომენდაციები	27
4.1. მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება.....	27
4.2. წყაროსთან სეპარირება	28
4.3 კომპოსტირება	28

5. წყალტუბოს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები.....	29
6. მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმები.....	34

შესავალი

წყალტუბოს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა შემუშავებულია ნარჩენების მართვის კოდექსისა და ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის ძირითადი მოთხოვნების საფუძველზე. როგორც ცნობილია, მუნიციპალიტეტები პასუხისმგებელი არიან: ა) მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებასა და ამ მიზნით მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სისტემის დანერგვასა და გამართულ ფუნქციონირებაზე; ბ) მუნიციპალური ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის ეტაპობრივ დანერგვასა და გამართულ ფუნქციონირებაზე.

მუნიციპალური ნარჩენების მართვის პირველი გეგმა წყალტუბოს მუნიციპალიტეტისათვის შემუშავებული იქნა 2017 წელს, მოიცავდა 2018-2022 წლებს და დამტკიცებული იქნა წყალტუბოს საკრებულოს მიერ 2017 წლის 28 დეკემბერს (წყალტუბოს საკრებულოს დადგენილება N63).

წარმოდგენილი დოკუმენტი შემუშავებულია წყალტუბოს ნარჩენების მართვის 2018-2022 წწ. გეგმის საფუძველზე. მასში გათვალისწინებულია ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის (2016-2030 წწ) და 2022-2026 წწ ეროვნული სამოქმედო გეგმის მოთხოვნები და ინდიკატორები.

1. არსებული მდგომარეობა

1.1 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მარეგულირებელი და საკანონმდებლო საფუძვლები

ნარჩენების მართვის სფეროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს **“ნარჩენების მართვის კოდექსი”**, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტებს უნარჩუნდებთ მხოლოდ ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების მომსახურებებისა და აღდგენის პროგრამების განხორციელების ვალდებულებები.

კერძოდ, „მუნიციპალიტეტებმა უნდა უზრუნველყონ:

ა) მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება და ამ მიზნით მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სისტემის დანერგვა და გამართული ფუნქციონირება;

ბ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შგროვებული მუნიციპალური ნარჩენების ტრანსპორტირება დამუშავებისა და განთავსების ობიექტებზე, სადაც ნებადართულია ამგვარი ნარჩენების მიღება;

გ) მუნიციპალური ნარჩენების დამუშავების ხელშეწყობა;

დ) მუნიციპალური ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის ეტაპობრივი დანერგვა და გამართული ფუნქციონირება.“

კანონი განსაზღვრავს ნარჩენების შეგროვების ზოგად პრინციპებს, რომლის მიხედვითაც ნარჩენების შეგროვება, ტრანსპორტირება და დამუშავება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ არ შეიქმნას სირთულეები მათი შემდგომი აღდგენის მხრივ. ამასთანავე, კანონი მოითხოვს, რომ მუნიციპალური ნარჩენები შეგროვდეს, ტრანსპორტირებული იქნას და დამუშავდეს იმ წესით, რომელიც მაქსიმალურად შესაძლო დონით გამორიცხავს გარემოს დაბინძურებასა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზიანის მიყენების რისკს.

საქართველოს კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის 2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება მყარი (საყოფაცხოვრებო) ნარჩენების შეგროვება და გატანა. რაც გულისხმობს, მოსახლეობის განსახლების პირველადი ტერიტორიულ ერთეულებში (ქალაქი, დაბა, სოფელი)

საზოგადოებრივი სივრცეების დასუფთავებას მყარი ნარჩენებისაგან და მათ გატანას ნაგავსაყრელების ტერიტორიაზე.

საქართველოს ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ეროვნულ პოლიტიკას ნარჩენების მართვის სფეროში, რომელიც შემუშავებულია ნარჩენების მართვის კოდექსისა და ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული დირექტივების მოთხოვნების შესაბამისად. სტრატეგიის შესაბამისად საქართველოში ნარჩენების მართვის ხედვაა:

საქართველოში ნარჩენების მართვის ხედვა ფორმულირებულია შემდეგი სახით: საქართველო ისწრაფვის გახდეს ნარჩენების პრევენციასა და რეციკლირებაზე ორიენტირებული ქვეყანა, რაც მიიღწევა:

- ნარჩენების პრევენციის, ხელახალი გამოყენების, რეციკლირებისა და აღდგენის ღონისძიებების გატარებით
- მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების უზრუნველყოფით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე
- ნარჩენების წარმოქმნის წყაროსთან სეპარირების დანერგვით
- ხარჯების სრული ამოღების დანერგვით
- მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების დანერგვით
- ინიციატივების განხორციელებით სპეციფიკური ნარჩენების ნაკადებზე საჯარო-კერძო პარტნიორობის ჩამოყალიბებით
- სტრატეგიის მიზნების მისაღწევად საჭირო წამახალისებელი მექანიზმების დანერგვით.

ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებისა და დანერგვის მიმართულებით ეროვნულ სტრატეგიაში დასახულია ნარჩენების შეგროვების შემდეგი მინიმალური მაჩვენებლების მიღწევა:

ნარჩენების შეგროვების მინიმალური ეროვნული მაჩვენებლები		
	2026 წლისთვის	2030 წლისთვის
მუნიციპალური ნარჩენები	95 %	100%
სახიფათო ნარჩენები	85 %	95%

მუნიციპალიტეტების ერთ-ერთ ვალდებულებას ასევე წარმოადგენს მუნიციპალური ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის ეტაპობრივ დანერგვა და გამართული ფუნქციონირება. კერძოდ,

ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის მიერ დასახულია ნარჩენების რეციკლირების შემდეგი მინიმალური მაჩვენებლების ეტაპობრივი მიღწევა:

ნარჩენების რეციკლირების მინიმალური მიზნობრივი მაჩვენებლები		
	2026 წლისთვის	2030 წლისთვის
ქაღალდი	50 %	80%
მინა	50%	80%
მეტალი	80%	90%
პლასტიკი	50%	80%

ნარჩენების მართვის ეროვნულ სტრატეგიაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება საჯარო სექტორის, კერძო კომპანიებისა და საზოგადოების შესაძლებლობათა გაძლიერების ხელშეწყობას ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე.

1.2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის აღწერა და დემოგრაფიული მონაცემები

ტერიტორიის ფართობი – 707,5 კმ²;

ადმინისტრაციული ცენტრი – ქ. წყალტუბო;

მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და თბილისს შორის – 249კმ;

მანძილი ადმინისტრაციული ცენტრსა და უახლოეს აეროპორტს შორის - 21 კმ;

მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და ფოთის პორტს შორის - 98 კმ.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი დასავლეთ საქართველოში მდებარეობს და იმერეთის რეგიონს მიეკუთვნება. მუნიციპალიტეტს ესაზღვრება ხონის, სამტრედიის, ვანის, ბაღდათის, ტყიბულის და ცაგერის მუნიციპალიტეტები.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან 29 200 ჰა სასოფლო სამეურნეო სავარგულებია, ხოლო მათ შორის სახნავ-სათესი ფართობია 14 859 ჰა, მრავალწლიანი ნარგავების ფართობი 2347 ჰა და საძოვრები 11994 ჰა.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კლიმატი სუბტროპიკულია, საშუალო წლიური ტემპერატურა დაახლოებით 15°C-ია, შესაძლებელი მაქსიმუმია 39°C, ხოლო შესაძლებელი მინიმუმი -5°C. ქარის ენერგეტიკული რესურსი (1000 კვტ/სთ 1 კმ²-ზე) - 1000 - 1500, ნალექების რაოდენობა წელიწადში საშუალოდ 1800 მმ-ია, მაქსიმუმი - 2400 მმ, მინიმუმი - 1200 მმ.

მუნიციპალიტეტის მდინარეების რაოდენობაა ოთხი: რიონი, გუბისწყალი, სემი და ყუმი. მათი საერთო სიგრძეა 152 კმ. მოკლე აღწერა: აღნიშნული მდინარეებიდან რიონი, გუბისწყალი და ყუმი მთელი წლის განმავლობაში ინარჩუნებს წყლის დებეტს, ხოლო მდინარე სემში ხანგრძლივი გვალებების შემთხვევაში საგრძნობლად მცირდება წყლის დებეტი.

რეგიონის ძირითადი მინერალური რესურსია წყალტუბოს ცნობილი სამკურნალო თერმული წყალი, რომელიც ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით უნიკალურია. მისი ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა რადიოაქტივობა. წყალი შეიცავს კეთილშობილ აირს, რადონის ემანაციას, აზოტის დიდ რაოდენობას და ჰელიუმს. რის გამოც მას აიროვან-აზოტიანი წყლების კლასს მიაკუთვნებენ.

წყალტუბოს მინერალური წყლის მაღალხარისხოვნების მაჩვენებელია ბუნებრივი ოპტიმალური ტემპერატურის 35 გრადუსის მუდმივობა, რაც ხელს უწყობს აბაზანების ადვილად ამტანიანობას. წყალი აბაზანებში პირდაპირ წყაროებიდან მიდის გათბობისა და გაციების გარეშე.

წყალტუბოს ბუნებრივი სიმდიდრეა ტყე. რომლის საერთო ფონდი 2008 წლისათვის 24685 ჰექტარს შეადგენდა. ტყით დაფარული იყო 23706 ჰექტარი. ტყეების უმრავლესობა პირველ ჯგუფს მიეკუთვნება. რეგიონში ტერიტორიის გატყიანება 34.9 პროცენტს შეადგენს.

წყალტუბოს ტერიტორიაზე არის საქვეყნოდ ცნობილი სათაფლიის ნაკრძალი, რომელიც 345 ჰექტარს მოიცავს. აქ არის დინოზავრების ნაკვალევი და კარსტული გამოქვაბული, რომელიც მდიდარია სტალაქტიტებით და სტალაგმიტებით. მას 270 კვ.მეტრი ფართობი უჭირავს.

წყალტუბო ასევე ცნობილია სამთო წიაღისეული სიმდიდრეებით. მათგან აღსანიშნავია სამრეწველო მნიშვნელობის მქონე ბენტონიტური თიხა გუმბრინი, რომლის პირველადიგადამუშავება ხდება სოფელ გუმბრაში. აქ აწარმოებენ ორი სახის პროდუქციას: მათეთრებელს, რომელსაც იყენებენ ნავთობის ტიტრაციისათვის და საყალიბე გუმბრინს, რომელიც ფხვნილის სახით გამოიყენება მეტალურგიაში ყალიბების დასამზადებლად. თიხა „გუმბრინი“ ასევე აღმოჩენილია ცხუნკურსა და ყუმისთავში. ზონაში გვხვდება აგრეთვე კირქვების და გრანიტის საბადოები. კირქვებისაგან ამზადებენ კირს და ბუნებრივი ქვის სამშენებლო ბლოკებს.

გრანიტის საბადო აღმოჩენილია სოფლების ჟონეთისა და ოფურჩხეთის ტერიტორიაზე. ხოლო სოფლების გეგუთის, ფარცხანაყანევის და გვიშტიბის ტერიტორიებზე უხვადაა სააგურე თიხა.

პროგნოზით, ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების ათვისების მხრივ (თერმული წყლები, საშენი მასალები და სხვა) წყალტუბო დიდი მნიშვნელობის კურორტის, ტურიზმის და მეწარმეობის ცენტრი გახდება, რაც უპირველესად. მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს მისი ეკონომიკის შემდგომ განვითარებაზე და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაზე.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძირითადი ბუნებრივი რესურსებია: ტემენიტი, ქვიშა-ხრეში, მტკნარი წყალი. ტემენიტი მოიპოვება სოფელ ოფურჩხეთში, ჟონეთში, ნამოხვანში. ქვიშა-ხრეშის მოპოვება ხდება გეგუთში, პატრიკეთში, ტყაჩირში. მტკნარი წყალი კი მუნიციპალიტეტის თითქმის მთელ ტერიტორიაზეა.

ტემენიტის ქვის მოპოვების შემდეგ ხდება მისი გადამამუშავება და გამოყენება, როგორც ბუნებრივი მოსაპირკეთებელი ქვა.

ქვიშა-ხრეში გადამამუშავდება სპეციალურ საამქროებში და მიღებული ინერტული მასალა გამოიყენება სამშენებლო დანიშნულებით.

მტკნარი წყალის მოპოვება ძირითადად ხდება ჭების მეშვეობით და გამოიყენება სამრეწველო საქმიანობაში.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მრეწველობა ძირითადად ემყარება სოფლის მეურნეობას. მთლიანი მუნიციპალური პროდუქტის 42% მრეწველობაზე მოდის, 20% - სოფლის მეურნეობაზე, 15% - ვაჭრობაზე, 10% - მშენებლობის დარგზე, 6% - ტურიზმზე, 4% - ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგზე. მუნიციპალიტეტში ძირითადი მაპროფილებელი პროდუქციის სახეებია: ელექტრო ენერჯის წარმოება;


სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება; ტურისტული მომსახურება და ბუნებრივი ქვების მოპოვება. ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული მიმართულება საშუალოვადიან პერიოდში არის ტურიზმი.

სოფლის მეურნეობის ძირითადი მაჩვენებლები

მუნიციპალიტეტის სიახლოვე ქუთაისთან და მისი კლიმატური პირობები ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის მრავალი დარგის განვითარებას, როგორც მრავალწლიანი და ერთ წლიანი კულტურებისათვის, ასევე სასათბურე მეურნეობების განვითარებისათვის. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი რეგიონში წარმოადგენს ბოსტნეულ ბაღჩეული და მწვანილეული კულტურების ძირითად საწარმოო ბაზას.

2021 წლის მდგომარეობით სასოფლო სამეურნეო სავარგულების ფართობია 29001 ჰა, აქედან კერძო საკუთრებას შეადგენს 13 007 ჰა, დანარჩენი ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა. დანიშნულების მიხედვით მისი გამოყენება შემდეგნაირად ხდება: სამოვარი: 13 222 ჰა, სახნავი: 13 007 ჰა და მრავალწლიანი კულტურები: 1897 ჰა.

სულ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 3400 ფერმერული მეურნეობიდან წამყვანი დარგია მესათბურეობა - 3110, 145 მეფუტკრეობა, 100 მეთხილეობა, 25 მეცხოველეობა და 20 მარცვლეული კულტურების წარმოება (იხ. ნახ.1)



ნახ.1. ფერმერული მეურნეობების დარგობრივი დატვირთვა, სულ 3 090

ინფრასტრუქტურა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში უმნიშვნელოვანესი ღონისძიებები განხორციელდა და ხორციელდება საგზაო, საინჟინრო-კომუნალური და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად. მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, სოფლის მეურნეობის განვითარებისა და მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ამაღლებისათვის. 2017- 2022 წლებში ქალაქისა და მთლიანი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით დახარჯულია 55 მილიონ ლარამდე.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი შედგება 18 ადმინისტრაციული ერთეულისგან. მუნიციპალიტეტის 10 დასახლებას მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი. მუნიციპალიტეტში არის შემდეგი ადმინისტრაციული ერთეულები:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო ქ. წყალტუბოში (სამოქმედო ტერიტორია – ქ. წყალტუბო);
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო სოფელ გეგუთში (სამოქმედო ტერიტორია – სოფელი გეგუთი);
3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო გვიშტიბის თემში (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: გვიშტიბი, გუბისწყალი, თერნალი, პირველი წყალტუბო);
4. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო გუმბრის თემში (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: გუმბრა, ბანოჯა, ხომული);
5. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი სტერიტორიული ორგანო დღნორისის თემში (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: დღნორისა, საჩხური, ლეხინდრისთავი, ჭაშლეთი);
6. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო მაღლაკის თემში (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: მაღლაკი, მიწაწითელი);
7. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო მექვენის თემში (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: მექვენა, ვანისჭალა, დერჩი, ბენტქოულა, ქვედაონჭეიში, ზედაონჭეიში);
8. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო მუხიანის თემში (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: მუხიანი, ქვედამესხეთი, უკანეთი);
9. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო ოფურჩხეთის თემში (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ოფურჩხეთი, ჯიმასტარო, გუმათი, ჟონეთი, ნამოხვანი);
10. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო სოფელ ოფშკვითში (სამოქმედო ტერიტორია – სოფელი ოფშკვითი);
11. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო პატრიკეთის თემში (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: პატრიკეთი, ტყაჩირი);
12. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო რიონის თემში – (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: რიონი, ზარათი, მეჩხერი, კუდოთი, სორმონიჭოლევი, ნოლა);
13. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო სოფელ საყულიაში (სამოქმედო ტერიტორია – სოფელი საყულია);
14. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო სოფელ ფარცხანაყანევში (სამოქმედო ტერიტორია – სოფელი ფარცხანაყანევი);
15. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო ქვიტირის თემში (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ქვიტირი, ზედამესხეთი);
16. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო ცხუნკურის თემში (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ცხუნკური, ყუმისთავი, ჩუნეში, ბესიაური);
17. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო წყალტუბოს თემში (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: სოფელი წყალტუბო, ქვილიშორი, ჩუნეში).




ნახ. 2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული რუკა.

დემოგრაფია

2014 წლის აღწერის მონაცემების თანახმად წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 56,883-ია. მათგან, მხოლოდ 20 % ცხოვრობს ქალაქად 80% კი სოფლად.

2006 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებთან შედარებით მუნიციპალიტეტში მოსახლების რაოდენობა შემცირდა 13833-ით, მათ შორის ქალაქის მოსახლეობა 16528-დან შემცირდა 11281-მდე, ხოლო სოფლების მოსახლეობა 54188-დან 45602-მდე. მოსახლეობის რაოდენობის კლება გაცილებით მაღალია ქალაქში, სადაც კლების მაჩვენებელი 30%-ზე მეტია, ვიდრე მუნიციპალიტეტის სოფლებში, სადაც შესაბამისად აღნიშნული მაჩვენებელი 15%-ით განისაზღვრება.

საგულისხმოა, რომ მოსახლეობის რაოდენობა 2006 წელთან შედარებით, 34%-ითაა შემცირებული. რაც სავარაუდოდ გამოწვეულია ბუნებრივი კლების და მეტწილად მიგრაციული პროცესებით.



დიაგრამა1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დინამიკა, 2007-2021 წწ. (ათასი ადამიანი)

1.3. გეგმის ჩარჩო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმა შემუშავებულია საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის, ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესაბამისად და მოიცავს 2018-2022 წლებს. გეგმაში განსაზღვრულია ძირითადი საქმიანობები წყალტუბოს მუნიციპალიტეტისათვის მომდევნო ხუთწლიანი პერიოდისათვის, როგორც ეს დადგენილია „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მიერ.

1.4. სამუშაო ჯგუფი

2023-2027 წწ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი 10 წევრის შემადგენლობით (წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება ბ48. 482231912, 12.11.2022).

სამუშაო ჯგუფის მიერ მოხდა წინა, 2018-2022 წწ. ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება, ახალი გამოწვევებისა და პრობლემების იდენტიფიკაცია, განისაზღვრა მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები და მისაღწევი ინდიკატორები, რომლებიც შესაბამისობაში ნარჩენების მართვის ეროვნულ სტრატეგიისა და 2022-2026 წწ. სამოქმედო გეგმასთან.

ცხრილი №2. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა

N	გვარი, სახელი	სამუშაო ადგილი, თანამდებობა
---	---------------	-----------------------------

1	გრიგოლ ყურაშვილი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე
2	იასონ გაბუნია	პირველი რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი
3	ფატი გაგოშიძე	პირველი რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი
4	მარეხ კანკაძე	პირველი რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი
5	მაია ფანჩულიძე	მეორე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების უფროსი
6	მერაბ კუხალაშვილი	მეორე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის მყარი ნარჩენების მართვისა და მოსაკრებლის განყოფილების უფროსი
7	თამარი ჯიქია	მესამე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის მყარი ნარჩენების მართვისა და მოსაკრებლის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
8	ლანა ნიჟარაძე	მესამე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის მყარი ნარჩენების მართვისა და მოსაკრებლის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
9	ქეთევან ცხაკაია	იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირის “სპექტრი”-ს, აღმასრულებელი დირექტორი

10	ნუგზარ ჩირგაძე	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების“ მოადგილე
----	----------------	--

2. მუნიციპალური ნარჩენების დახასიათება

2.1 გეგმაში მიმოხილული ნარჩენების სახეობები

წარმოდგენილი გეგმა მიმოხილავს მუნიციპალურ არასახიფათო ნარჩენებს, რომელთა წარმოქმნის წყაროებს მიეკუთვნება:

- საოჯახო მეურნეობები. კერძოდ, კერძო სახლებსა და მრავალსართულიან შენობებში მცხოვრები ოჯახები;
- წარმოება-დაწესებულებები;
- სასწავლო დაწესებულებები (სკოლები, სკოლამდელი დაწესებულებები);
- მომსახურების სფერო (სავაჭრო და კვების ობიექტები);
- სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები;
- სხვა ორგანიზაციები.

2.2 ნარჩენების რაოდენობა


წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი და შეგროვებული მუნიციპალური ნარჩენების მზარდი დინამიკა ფიქსირდება ბოლო წლების განმავლობაში. შესაძლებელია იმ ნარჩენებს რაოდენობის იდენტიფიკაცია, რომელთა ორგანიზებული შეგროვება და ტრანსპორტირება ნაგავსაყრელამდე ხოციელდება მუნიციპალური კომპანიის მიერ. ბოლო სამი წლის მონაცემებით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შეგროვებული ნარჩენების რაოდენობა წარმოდგენილია ცხრილში #3. კერძოდ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2021 წელს წარმოქმნილი და შეგროვებული ნარჩენების რაოდენობამ შეადგინა 6022 ტონა, რაც 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს აღემატებოდა 455,5 ტონით. 2022 წლის იანვარ-ნოემბრის თვეებში შეგროვებული და ნაგავსაყრელზე განთავსებული იქნა 5672,9 ტონა მუნიციპალური ნარჩენი.

ცხრილი #3 . წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

შეგროვებული ნარჩენების რაოდენობა, 2020-2022 წწ, (ტონა).

	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი
იანვარი	480,3	453,2	540,4
თებერვალი	430,5	421,6	561,2
მარტი	456,2	459,2	574,3
აპრილი	462,4	495,6	561,5
მაისი	456,4	485,8	550,6
ივნისი	485,2	495,6	574,5
ივლისი	495,6	585,9	563,2
აგვისტო	485,6	595,6	568,9
სექტემბერი	476,5	584,7	591,4

ოქტომბერი	485,3	526,9	586,9
ნოემბერი	425,7	456,7	594,2
დეკემბერი	426,8	461,2	
სულ	5566,5	6022	5672,9



ნახ. 3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეგროვებული ნარჩენების რაოდენობა, 2020-2022 წწ.

2.3. ნარჩენების წარმოქმნა ტურისტების მიერ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი თავისი სამკურნალო წყლებითა და ღირშესანიშნაობებით ერთ-ერთი მიმზიდველი ადგილია ტურისტებისათვის, რომელთა რაოდენობა მუდმივად იზრდება. აღსანიშნავია, რომ თავად ქალაქი წყალტუბო წარმოადგენს ბალნეოლოგიურ კურორტს, სადაც ჩამოდიან სამკურნალოდ ხანგრძლივი დროით.

ქალაქ წყალტუბოში ფუნქციონირებს 15 დიდი და 20-მდე საოჯახო სასტუმრო. ამ სასტუმროთა ვიზიტორთა რაოდენობამ 2021 წელს შეადგინა 8600. ასევე ქალაქში ფუნქციონირებს 4 სააბაზანო შენობა, რომელიც ასევე ემსახურება სამკურნალოდ ჩამოსულ ადამიანებს. აღნიშნულ სააბაზანოებში რეგისტრირებული პაციენტების რაოდენობამ 2020 და 2021 წლებში შეადგინა 2250 და 3770 ადამიანი შესაბამისად. ქალაქში სამკურნალოდ ჩამოსული ადამიანები ასევე ხშირად ბინავდებიან კერძო სექტორში, თუცა მათი ზუსტი რაოდენობა არ არის ცნობილი.

ასევე დიდია ისეთი ტურისტების რაოდენობა, რომლებიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

ჩერდებიან ერთი ან ორი დღით. განსაკუთრებით აღსანიშნავია, პრომეთეს მღვიმესა და სათაფლიის ნაკრძალის ვიზიტორთა რაოდენობა, რომელთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. ასე, თუ 2021 წელს პრომეთეს მღვიმესა და სათაფლიის ნაკრძალის მნახველთა რიცხვი შეადგენდა 140192, 2022 წლის მხოლოდ 8 თვეში ეს ადგილები მოინახულა 207148 ადამიანმა.

დაახლოებით 28 ტონა ნარჩენებს დატოვებდნენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პრომეთეს მღვიმისა და სათაფლიის ნაკრძალის მნახველები 2021 წელს, თუ ვივარაუდებთ, რომ თითოეულმა მათგანმა საშუალოდ 0,2 კვ ნარჩენი წარმოქმნა და დატოვა თავისი ვიზიტის დროს.

ბუნებრივია, ვიზიტორთა რაოდენობის ზრდასთან ერთად გაიზრდება ტურისტების მიერ წარმოქმნილი და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დატოვებული ნარჩენების რაოდენობა.

2.4. ნარჩენების შემადგენლობის ანალიზი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში წარმოქმნილი ნარჩენების შედგენილობის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება. ამდენად, 2022-2026 წლების ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმის მიხედვით, შესაძლებელია ვივარაუდოდ, რომ საშუალოდ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შემადგენლობაში შედის: ორგანული ნარჩენები - არანაკლებ 50-54%, პლასტიკის ნარჩენები - არანაკლებ 10-13%, ქაღალდი და მუყაო - არანაკლებ 10%, მშენებლობის და ნგრევის შედეგად მიღებული ნარჩენები - არანაკლებ 2-3%, ტექსტილი - არანაკლებ 4%, მინა - არანაკლებ 2%, ლითონი - არანაკლებ 1.4%, სხვა ნარჩენები - 11%.

3. მუნიციპალური ნარჩენების მართვის არსებული სისტემის მიმოხილვა

3.1. არსებული მუნიციპალური მომსახურების აღწერა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვებასა და ტრანსპორტირებას ახორციელებს ა(ა)იპ „წყალტუბოს კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანება“, რომლის სუბსიდირება 100%-ით ხდება მუნიციპალური ბიუჯეტიდან.

- ა(ა)იპ „წყალტუბოს კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანება“-ს მიზნები და ამოცანებია:
1. ქალაქისა და მუნიციპალიტეტის საამისოდ განსაზღვრული ტერიტორიების (ქუჩები, სკვერები, რეაკრეაციული ზონები, მოედნები და სხვა) დაგვა და სანიტარული დასუფთავება, ანახვეტისა და საყოფაცხოვრებო და სხვა ნარჩენების ქალაქგარეთ ნაგავსაყრელზე გატანა.
 2. ქალაქსა და საამისოდ განსაზღვრულ ტერიტორიებზე ნარჩენებისათვის განკუთვნილი კონტეინერების განთავსება და მათი დეზინფექცია შესაბამისი წესების დაცვით.

მუნიციპალური ნარჩენების ორგანიზებულად შეგროვებისათვის გამოიყენება შემდეგი სისტემები:

- **კონტეინერული:** ნარჩენების შემკრები კონტეინერები განთავსებულია საცხოვრებელ უბნებში, სადაც მოსახლეობა თავად ახდენს ნარჩენების განთავსებას, ისინი იცლება წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით, საამისოდ გამოყოფილი სპეციალური ტექნიკის საშუალებით. ასევე კონტეინერები განთავსებულია ძირითადი გზების გასწვრივ.
- **ზარის სისტემა,** გამოიყენება ძირითადად ისეთ უბნებში, სადაც განთავსებულია კერძო სახლები, აღნიშნული სისტემით ნარჩენების შეგროვება ხდება ასევე წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით.

3.2 შეგროვების და ტრანსპორტირების მომსახურება

3.2.1. შეგროვების და ტრანსპორტირების საშუალებები და საოპერაციო პროცესები.

ნარჩენების შეგროვებისა და გატანის სერვისისთვის მუნიციპალიტეტს გააჩნია შემდეგი ტექნიკური აღჭურვილობა:

- 1,1 მ³ მოცულობის კონტეინერები- 550 ცალი,
- სპეციალური ტექნიკა - 6 ერთეული (ცხრილი # 5).

ცხრილი #5. ნარჩენების ტრანსპორტირების ტექნიკური აღჭურვილობა

ა/მანქანის ტიპი	რაოდენობა	მოდელი	გამოშვების წელი	მდგომარეობა	შემენის ღირებულება (ლარი)	ლოკაციის ადგილი
პრესი	1	ფორდ-კარგო	2012	ტექნიკურად გამართული	160000	ქ.წყალტუბო
პრესი	1	მერსედეს-ბენც	2016	ტექნიკურად გამართული	210500	ქ.წყალტუბო
პრესი	1	მერსედეს-ბენც (ორ ხიდიანი)	2016	ტექნიკურად გამართული	249971	ქ.წყალტუბო
პრესი	1	მერსედეს-ატეკო	2013	ახალი	235896	ქ.წყალტუბო
თვითმცლელი	1	ფორდ ტრანზიტი	2005	ტექნიკურად გამართული	27999	ქ.წყალტუბო
თვითმცლელი (მცირე ზომის)	1	ფორდ ტრანზიტი	2010	ტექნიკურად გამართული	49350	ქ.წყალტუბო

ქალაქ წყალტუბოში განლაგებული კონტეინერების დაცლა ხორციელდება ყოველდღე, ხოლო სოფლებსა და ცენტრალურ გზებზე ორ დღეში ერთხელ ან საჭიროებისამებრ.

ზარის სისტემა გამოიყენება მუნიციპალიტეტის 6 სოფელში (ზედა და ქვედა მესხეთი, ხომული, გვიშტიბი, წყალტუბო, ქვილიშორი) და ქალაქის რამდენიმე ქუჩაზე (დაახლოებით 15-მდე ქუჩაზე), სადაც ქუჩების სივიწროვის გამო შეუძლებელია კონტეინერების განთავსება. ქალაქის იმ ქუჩებზე და სოფლებში, რომლებიც სარგებლობენ ზარის სისტემით, ნარჩენების გატანა ხდება სპეციალურად შედგენილი გრაფიკითა და მარშრუტით.

3.2.2. შეგროვების მომსახურების დაფარვის არეალი.

ნარჩენების შეგროვება-გატანის მომსახურებით სარგებლობს ქალაქ წყალტუბოს მთელი ტერიტორია და გამოიყენება როგორც კონტეინერული, ისე ზარის სისტემით მომსახურება. ცხრილში #6 მოცემულია იმ ქუჩების ჩამონათვალი, სადაც გამოიყენება ნარჩენების შეგროვების კონტეინერული სისტემა.

რაც შეეხება სოფლებს, მომსახურებით სარგებლობს 20 სოფელი (ცხრილი #4), რაც შეადგენს მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორიის 80%. ისეთ დიდ სოფლებში, როგორცაა ფარცხანაყანევი, ქვიტირი, ცხუნკური, გეგუთი, სოფ. წყალტუბო ნარჩენების შესაგროვებლად გამოიყენება, როგორც კონტეინერული, ისე ზარის სისტემები. დანარჩენ სოფლებში, სადაც ხორციელდება ნარჩენების ორგანიზებული შეგროვება, გამოიყენება კონტეინერული სისტემები და განთავსებულია 1,1 მ³ მოცულობის კონტეინერები, რომელთა დაცლას ასევე ახორციელებს მუნიციპალური ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავება“. ცხრილში ნაჩვენებია კონტეინერების რაოდენობა, სოფლების მიხედვით (ცხრილი #7). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებული მომსახურება ვერ უზრუნველყოფს ჩამოთვლილი სოფლების მოსახლეობის მთლიან მოცვას.

ცხრილი #6. კონტეინერების ადგილმდებარეობა და რაოდენობა ქ.წყალტუბოში

კონტეინერების ადგილმდებარეობა	კონტეინერების რაოდენობა,
	1,1მ ³
ავალიანისა და წერეთლის ქუჩები	17
ლორთქიფანიძის ქუჩა	2
ნინოშვილის ქუჩა	3
ბარათაშვილის ქუჩა	5
რუსთაველის ქუჩა	16
ფალიაშვილის ქუჩა	2

26 მაისის ქუჩა	4
დედაენის ქუჩა	13
ჭავჭავაძის ქუჩა	5
კოლხეთის ქუჩა	5
ბესიკის ქუჩა	1
გურამიშვილის ქუჩა	2
9 აპრილის ქუჩის მესამე შესახვევი	4
9 აპრილის ქუჩა	12
შანიძის ქუჩა	6
სამაკაშვილის ქუჩა	2
თამარ მეფის ქუჩა	7
შევჩენკოს ქუჩა	3
ვაჟა-ფშაველას	0
გამსახურდიას ქუჩა	3
გოგებაშვილის ქუჩა	4
ახალგაზრდობის ქუჩა	1
ბალანჩივადის ქუჩა	1
ნუცუბიძის ქუჩა	1
გ.ტაბიძის ქუჩა	24
სულხან-საბას ქუჩა	2
აღმაშენებლის ქუჩა	1
ცენტრალური პარკი	4
ქუთაისის ქუჩა	1
მარჯანიშვილის ქუჩა	1
ე.თაყაიშვილის ქუჩა	2
ყაზბეგის ქუჩა	5

**ცხრილი #7. კონტეინერების რაოდენობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე
(ქ.წყალტუბოს ტერიტორიის გამოკლებით).**

№	კონტეინერების რაოდენობა მოცულობის შესაბამისად				
	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	50L	240L	660L	1100L
1	სოფ.ცხუნკური				4
2	ქვილიშორი				5
3	ჩუნეში				1
4	ხომული				10
5	სოფელი წყალტუბო				2
6	გვიშტიბი				6
7	გუბისწყალი				4
8	სოფ.თერნალი				4
9	მაღლაკი				6
10	ფარცხანაყანევი				22
11	ქვიტირი				23
12	მუხიანი				4
13	გეგუთი				30
14	პატრიკეთი				3
15	ტყაჩირი				3

16	ოფშკვითი				0
17	საყულია				7
18	ბანოჯა				11
19	გუმბრა				6
20	წყალტუბო-ქუთაისის მაგისტრალი				13

3.3. ქუჩების დასუფთავება

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მეეზოვეების მიერ ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება ხორციელდება ძირითადად ქალაქ წყალტუბოს ტერიტორიაზე, ეს ქუჩებია: რუსთაველის, გ. ტაბიძის, ჭავჭავაძის, წერეთლის, დედა-ენის, ავალიანის, სამაკაშვილის, ო. იოსელიანის, 26 მაისის, ცივი ტბის მიმდებარე ტერიტორია. ყოველდღიურ რეჟიმში იგვება 112 500 მ² მდე ფართობი, რაც ქალაქ წყალტუბოს ტერიტორიის 25 %-ს არ აღემატება. აღნიშნულ საქმიანობას ემსახურება მხოლოდ 50 მეეზოვე.

3.4 ნარჩენების განთავსების არსებული ობიექტები

3.4.1. ნარჩენების განთავსების ოფიციალური ნაგავსაყრელი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ორგანიზებულად შეგროვებული ნარჩენების განთავსება ხორციელდება ისეთ ოფიციალურ ნაგავსაყრელზე, როგორცაა ქუთაისის ნაგავსაყრელი, რომელიც მდებარეობს ქუთაისთან ახლოს. აღნიშნული ნაგავსაყრელის ოპერირებას ახორციელებს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“.

3.5. ნარჩენების სეპარირება და გადამუშავება

3.5.1.ნარჩენების სეპარირება

2020-2022 წლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მნიშვნელოვანი სამუშაოები იქნა განხორციელებული ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისათვის როგორც ქალაქში, ისე სოფლებში. ევროკავშირის „შავი ზღვის აუზის ქვეყნების 2014-2020“ პროგრამის ფარგლებში

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ რეალიზებული იქნა პროექტი¹ „თანამშრომლობა სუფთა გარემოსთვის“, რომელიც მიზანად ისახავდა სასოფლო თემებში გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მდინარეების დაბინძურების შემცირების ხელშეწყობას ნარჩენების მართვის თანამედროვე პრაქტიკის დანერგვით, რომელიც ეფუძნება ევროკავშირის მიდგომებს და საქართველოში, სომხეთში, მოლდოვასა და რუმინეთში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობისა და პარტნიორობის გზით.

პროექტი მიმართული იყო რეციკლირებისა და კომპოსტირების საუკეთესო პრაქტიკის დანერგვაზე შერჩეულ სასოფლო თემებში. პლასტიკისა და ქალაქის შეგროვება წარმატებით განხორციელდა წყალტუბოს შემდეგ სასოფლო თემებში: ფარცხანაყანევი, ქვიტირი, მალლაკი, გეგუთი, მუხიანი. აღნიშნული სოფლების ტერიტორიაზე დაიდგა სპეციალური კონტეინერები მოცულობით 1.1 მ³. აღსანიშნავია, რომ ამ სოფლების მოსახლეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 31%-ს შეადგენს. პროექტის ფარგლებში შეძენილი იქნა ნარჩენების გადამზიდი მანქანა.

პლასტიკის სეპარირებული შეგროვება ასევე ხორციელდება ქალაქ წყალტუბოს ტერიტორიაზე. სპეციალური კონტეინერები არის განთავსებული ქალაქის ცენტრალურ ქუჩებსა და პარკში.

აღსანიშნავია, რომ პლასტიკის განცალკევებული შეგროვება ხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ისეთ ტურისტულ ობიექტებზე, როგორცაა სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალი და პრომეთეს მღვიმე, სადაც დაიდგა სპეციალური გამჭვირვალე კონტეინერები მოცულობით 1.1მ³.

ქალაქის განცალკევებული შეგროვების მიზნით შეძენილი იქნა 50 კონტეინერი მოცულობით 240 ლ. კონტეინერები გადაეცა საჯარო სკოლებსა და დაწესებულებებს.

პლასტიკის განცალკევებულ შეგროვებას ახორციელებს მუნიციპალური ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავება“, რომელიც პერიოდულად ცლის შევსებულ კონტეინერებს და ასაწყობებს პლასტიკის ნარჩენებს წინასწარი დამუშავების შემდეგ. სეპარირებული პლასტიკის დასაწყობებისათვის გამოყოფილია შესაბამისი ადგილი, რომელიც ასევე აღჭურვილია სპეციალური პრესით.

აღსანიშნავია, რომ მოსახლეობა აქტიურად არის ჩართული პლასტიკის სეპარირებაში. კონტეინერებში არსებული ნარჩენების საერთო მოცულობიდან, როგორც წესი, 80%-ზე მეტი შეადგენს პლასტიკს, ძირითადად, პოლიეთილენტერეფტალატის (PET) ბოთლებსა და პოლიეთილენის პარკებს. სულ ქალაქის ტერიტორიაზე 2020-2022 წწ.

¹ პროექტის განხორციელებაში ჩართული იყო 5 პარტნიორი ორგანიზაცია ოთხი ქვეყნიდან (საქართველო, რუმინეთი, მოლდოვა და სომხეთი). წყალტუბოს მუნიციპალიტეტი წარმოადგენდა წამყვან პარტნიორს აღნიშნულ პროექტში.

დაიდგა 1.1 მ³ მოცულობის 60 ახალი კონტეინერი სეპარირებული პლასტიკის შესაგროვებლად².

3.5.2. კომპოსტირება

კომპოსტირების, როგორც ბიოდეგრადირებადი ნარჩენების გადამუშავების მეთოდის პოპულარიზაციისა და კომპოსტირების ინდივიდუალური მიდგომების დანერგვისათვის გარკვეული სამუშაოები იქნა გაწეული, როგორც წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ პროექტის „თანამშრომლობა სუფთა გარემოსთვის“ ფარგლებში, ისე სხვა პარტნიორი ორგანიზაციების მიერ.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ინდივიდუალური კომპოსტირება წარმატებით დაინერგა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის რამდენიმე შერჩეულ თემებში, კერძოდ, 10 საკომპოსტე ყუთი დაიდგა საჯარო სკოლების ეზოებში, სადაც მოსწავლეები და პედაგოგები ახორციელებენ ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირებას. მნიშვნელოვანი სამუშაოები იქნა განხორციელებული სამიზნე ჯგუფების კომპოსტირების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლებისათვის: ჩატარდა ტრენინგები, მომზადდა ბროშურა ინდივიდუალური კომპოსტირების ევროპული პრაქტიკის შესახებ, რომელიც დაურიგდა დაინტერესებულ პირებს.

კომპოსტირების პრაქტიკის გაცნობის მიზნით ორგანიზებული იქნა სასწავლო ტური ქ. გალაცში (რუმინეთი). წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 5 წარმომადგენელი გაეცნო არამარტო ქ. გალაცისა და ქ.ბრაილას საკომპოსტე ცენტრების მუშაობას, არამედ მიიღო ინფორმაცია ნარჩენების სეპარირებისა და ტრანსპორტირების სისტემის ორგანიზების შესახებ.

ქალაქ წყალტუბოსთვის ასევე აქტუალურია მწვანე ნარჩენების კომპოსტირების დანერგვა, რადგანაც ქალაქი მდიდარია თავისი პარკებითა და სკვერებით, და აქედან ამოღებულ დიდი რაოდენობით მწვანე ნარჩენები ნაგავსაყრელზე ხვდება. აქტუალურია მწვანე ნარჩენების კომპოსტირების ორგანიზება.

აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირ „სპექტრის“³ მიერ სამ ფერმერულ მეურნეობას გადაეცა სამსექციანი საკომპოსტე ყუთები, ხოლო 5 საჯარო სკოლას გადაეცა 1.2 კუბ.მ მოცულობის მქონე საკომპოსტე ყუთები, ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირებისათვის.

3.6. სახიფათო ნარჩენები

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ასევე წარმოიქმნება ისეთი სახიფათო ნარჩენები, როგორცაა:

- დაცლილი ბატარეები და აკუმლატორები,

² ასევე 2016 წელს იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირმა „სპექტრი“ წყალტუბოს გადასცა 1.1 მ³ მოცულობის 15 ერთეული სპეციალური კონტეინერი პლასტიკის ნარჩენების განცალკევებული შეგროვებისათვის. აღნიშნული საქმიანობა განხორციელდა საქართველოში აშშ საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში.

³ პროექტი „კომპოსტირების ხელშეწყობა მდგრადი სასოფლო თემებისათვის“, რომელიც ხორციელდება იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირ „სპექტრის“ მიერ UNDP/GEF SGP მხარდაჭერით.

- ფლურესცენციული და ენერგო დამზოგავი ნათურები, რომლებიც შეიცავენ ვერხლისწყალს,
- ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები,
- ვადაგასული წამლები
- და სხვა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახიფათო ნარჩენების განცალკევებული შეგროვება არ ხორციელდება. ასევე არ არის ცნობილი რა რაოდენობით წარმოიქმნება ამ სახის ნარჩენები. როგორც წესი, ამ სახეობის სახიფათო ნარჩენები ერევა საყოფაცხოვრებო ნარჩენებს, რომელთა შეგროვებას და ტრანსპორტირებას ნაგავსაყრელამდე ახორციელებს მუნიციპალური ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავება“.

დიდ პრობლემას წარმოადგენს მკვდარი ცხოველების განთავსება. მუნიციპალიტეტს არ გააჩნია რესურსები ასეთი ნარჩენების ნებადართული განთავსებისათვის. მოსახლეობა საკუთარი ძალებით იცილებს ასეთ ნარჩენებს, ზოგ შემთხვევებში ათავსებს საყოფაცხოვრებო ნარჩენებისათვის განკუთვნილ კონტეინერებში, რაც გაუშვებელია.

3.7. ინერტული ნარჩენები

მუნიციპალიტეტს არ გააჩნია ინერტული ნარჩენების პოლიგონი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ინერტული ნარჩენების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს. გაურკვეველია ისიც, თუ რა რაოდენობის ინერტული ნარჩენები ხვდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების კონტეინერებში. ხშირად, დიდი მოცულობის ინერტულ ნარჩენებს მოსახლეობა დამოუკიდებლად იცილებს და ეს ნარჩენები, როგორც წესი, გარემოში ხვდება, რითაც დიდი ზიანი ადგება გარემოს. ასეთი ადგილები ხშირად ხდება არასანქცირებული ნაგავსაყრელების წარმოქმნის მიზეზი.

3.8. ხარჯები და ხარჯების ანაზღაურება

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებობს ე.წ. დასუფთავების მოსაკრებელი, რომელიც განკუთვნილია როგორ ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისათვის.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების №70 „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ (2015 წლის 17 ნოემბერი) საფუძველზე რეგულირდება მოსაკრებლის ტარიფები.

დასუფთავების მოსაკრებლის გადასახადი ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 0.5 ლარს, რაც შეეხება დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და სხვა იურიდიულ პირებს მოსაკრებლის ოდენობა სხვადასხვაა და განისაზღვრება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით.

დასუფთავების მომსახურების მიმღებთა აღრიცხვა (როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების) ხდება ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №78 დადგენილებით მოსაკრებლის გადამხდელი არის ფიზიკური პირი, მეწარმე ფიზიკური პირი, სამეწარმეო ან/და არასამეწარმეო იურიდიულ პირი, დაწესებულება, ორგანიზაცია, რომელიც წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნის საყოფაცხოვრებო ნარჩენებს.


წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების მართვის მუნიციპალური სერვისით სარგებლობს დაახლოებით 40%. დადგენილი ტარიფის მიხედვით მოსახლეობიდან შეგროვილი თანხა წლიურად საშუალოდ შეადგენს 12000-16000 ლარს, შეგროვებული თანხის მერყეობა დამოკიდებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის შემოდინების და გადინების პროცესებზე. კომერციული, ინსტიტუციური და საჯარო დაწესებულებებიდან ამოღების წლიური მაჩვენებელი შეადგენს 140000-150000 ლარს. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების მოსაკრებლის წლიური გეგმა შეადგენს 150000 ლარს. 2022 წლის დეკემბრის მონაცემებით, ამოღებულმა საერთო თანხამ შეადგინა 182065 ლარი.

მუნიციპალური სერვისით სარგებლობს 645 კომერციული ობიექტი და ოცდაათამდე საჯარო დაწესებულება.

შელავათების და მოსაკრებლის გადამხდელთა დიფერენცირება ხდება საქართველოს კანონის „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 ნოემბრის №70 დადგენილების შესაბამისად. მსგავსი შელავათებით სარგებლობს 3000-მდე ადამიანი.

3.9. ბიუჯეტი და დაფინანსების პროცესები

ბოლო სამი წლის განმავლობაში მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ნაგავსაყრელამდე მიტანის ხარჯები ხასიათდება მზარდი დინამიკით. ასე, 2021 წლის ხარჯები 2020 წელთან შედარებით გაიზარდა 12%-ზე მეტით.



ნახ.8. ნარჩენების მართვის ბიუჯეტი 2020-2022 წლებში

ცხრილი #9. ნარჩენების მართვის ხარჯები

წელი	მყარი ნარჩენების დასუფთავების, შეგროვების და ნაგავსაყრელამდე მიტანის ხარჯი	არსებული დასუფთ. მოსაკრებელი ერთ სულზე	შემოსავალი დასუფთავების გადასახადიდან			ფიზ. პირები			იურ. პირები	
			სულ	შემოსავალი ფიზ. პირებიდან	შემოსავალი იურ. პირებიდან	მუნიციპალიტეტის მთლიანი მოსახლეობა	დასუფთ. დაფარვის არეალი მუნიციპალიტ.-ში	დასუფთ. გადასახადის ამოღების წილი	დასუფთ. დაფარვის არეალი მუნიციპალიტ.-ში	დასუფთ. გადასახადის ამოღების წილი
			[ლარი/წელიწადში]	[ლარი/წელიწადში]	[ლარი/წელიწადში]	[მოსახლეობის რ-ბა]	[მოსახლეობის რ-ბა]	[%]	[იურ. პირების რ-ბა]	[%]
2020 წ.	902543	0.5	150196	11730	138466	56883	10060		475	%
2021 წ.	1015184	0.5	162125	15059	147066	46800	10075		550	%
2022 წ. (ნოემბრის მონაცემები)	1167389	0.5	157065	13432	143644	46800	10090		645	%

4. ნარჩენების მართვის მომავალი ვარიანტების ანალიზი და რეკომენდაციები

4.1. მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული მუნიციპალური სერვისებით მოცულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დაახლოებით 80%.

იმისთვის, რომ მიღწეული იქნას ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიითა და 2022-2026 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული, მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების მაჩვენებელი (95%) იქნას მიღწეული 2026 წლისთვის, საჭიროა გაფართოვდეს მომსახურეობის არეალი, განსაკუთრებით მაღალმთიან სასოფლო თემებში.

კერძოდ, იქ სადაც უკვე არსებობს ნაწილობრივი მომსახურეობა, მოხდება ამ სერვისების გაუმჯობესება და გაფართოება, ხოლო იქ, სადაც ჯერ კიდევ ასეთი სერვისებით მოსახლეობა ვერ სარგებლობს, - ანალოგიური სერვისების დანერგვა. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებებიც, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორია გამოირჩევა რელიეფის მრავალფეროვნებით. იგი მოიცავს მაღალმთიან სოფლებს, სადაც მცირეა მოსახლეობის რაოდენობა და შესაბამისად ნარჩენების წარმოქმნის მოცულობაც.

საჭიროა აღინიშნოს, რომ, ისეთ სოფლებში, როგორცაა ფარცხანაყანევი, ქვიტირი, ქვილიშორი, გეგუთი, საყულია, გუმბრა, ბანოჯა, ხომული მუნიციპალური მომსახურეობით მოცულია მოსახლეობის 100%, ხოლო 2027 წლისთვის იგეგმება საგრძნობლად გაიზარდოს მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების მაჩვენებლები (80%-მდე) ისეთ, სასოფლო თემებში, როგორცაა ჩუნეში, ცხნკური, ყუმისთავი, პარტიკეთი და ტყაჩირი, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის შეგროვებული და ტრანსპორტირებული ნარჩენების რაოდენობას.

აუცილებლობას წარმოადგენს ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების მუნიციპალური მომსახურეობა დაინერგოს რიონისა და ოფურჩხეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში, რომელთა მოსახლეობის ჯამური რაოდენობა შეადგენს 4000 ადამიანს.

მუნიციპალური მომსახურეობის გაფართოებისათვის გამოყენებული იქნება როგორც კონტეინერული, ისე ზარის სისტემები. ამისთვის საჭირო იქნება დამატებითი კონტეინერების შეძენა. ასევე აუცილებელი იქნება სპეციალური დანიშნულების მანქანების პარკის გაზრდა.

4.2. წყაროსთან სეპარირება

წყალტუბოს მუნიციპალიტეტს აქვს კარგი გამოცდილება პლასტიკის სეპარირების სასოფლო თემებში, რომელიც გამოყენებული იქნება სხვა სასოფლო თემებში, სადაც ასეთი სერვისები ჯერ კიდევ არ არის ხელმისაწვდომი მოსახლეობისათვის.

2023-2027 წწ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში გაიზრდება პლასტიკისა და ქაღალდის წყაროსთან სეპარირების მაჩვენებლები.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული ქალაქ წყალტუბოს და მთელი რიგი სასოფლო თემების ტერიტორიაზე მიმდინარეობს პლასტიკის განცალკევებული შეგროვება. სპეციალური კონტეინერების გამოყენებით მოსახლეობას ეძლევა საშუალება განახორციელოს პლასტიკის სეპარირება. როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, შეთავაზებული მიდგომა მისაღები აღმოჩნდა მოსახლეობისათვის. ამდენად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი მომავალშიც გააგრძელებს და კიდევ უფრო განავითარებს პლასტიკის სეპარირებულ შეგროვებას კონტეინერების საშუალებით.

მნიშვნელოვანი ყურადღება გამახვილდება ქაღალდის ნარჩენების შეგროვებაზე. 2020-2022 წწ. განხორციელებულმა საქმიანობამ ქაღალდის ნარჩენების შეგროვების მიზნით, გვიჩვენა, რომ სკოლები წარმატებით ახორციელებენ ქაღალდის შეგროვებასა და გამოყენებას სკოლებისთვის სასარგებლო ინიციატივების რეალიზაციისათვის. .

4.3 კომპოსტირება

წყალტუბოს მუნიციპალიტეტს კარგი გამოცდილება გააჩნია საჯარო სკოლებსა და ფერმერულ მეურნეობებში ინდივიდუალური კომპოსტირების განხორციელების მხრივ. 2020-2022 წწ. მთელ რიგ საჯარო სკოლებსა და ფერმერულ მეურნეობებს გადაეცა საკომპოსტე ყუთები. ამდენად, 2023-2027 წწ ნარჩენების მართვის გეგმის ფარგლებში კიდევ უფრო დიდი ადგილი დაეთმობა ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირების შემდგომ პოპულარიზაციასა და დანერგვას სხვადასხვა სასოფლო თემებში.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აქტიურად არის განვითარებული მემწვანილეობა და მებოსტნეობა. წარმოქმნილი ნარჩენების 40-45% ბიოდეგრადირებადი ნარჩენების შეადგენს. ამდენად კომპოსტირების დანერგვის ხელშეწყობა ერთ-ერთ აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს.

ქალაქ წყალტუბოს ტერიტორიაზე ასევე დიდი რაოდენობით წარმოიქმნება ბიოდეგრადირებადი ნარჩენები, კერძოდ, მცენარეების მოვლა-პატრონობის პროცესში. ამ ნარჩენების სასარგებლოდ გამოყენების მიზნით საჭიროა შეიქმნას მოედანი, სადაც დიდი მოცულობის მწვანე ნარჩენები დაექვემდებარება კომპოსტირების პროცესს.

კომპოსტირების ფართო დანერგვა არა მარტო შეამცირებს ნაგავსაყრელზე გასატანი ნარჩენების რაოდენობასა და გარეოს დაბინძურებას, არამედ ფერმერულ და საოჯახო მეურნეობებს უზრუნველყოფს კომპოსტით, რომლის გამოყენება სოფლის მეურნეობაში შეამცირებს სასუქებზე მოთხოვნილებას და ხელს შეუწყობს უფრო მაღალი ხარისხის პროდუქტის მოყვანას.

5. წყალტუბოს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

2023-2027 წლების წყალტუბოს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის ძირითადი მიზნებია:

1. მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების სისტემების გაფართოება და სრულყოფა,
2. ნარჩენების სეპარირებული შეგროვების თანამედროვე მიდგომების დანერგვა და განვითარების ხელშეწყობა.
3. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის შესახებ.

მოსალოდნელი შედეგები:

წარმოდგენილი გეგმის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება ისეთი მაჩვენებლების მიღწევა, როგორცაა:

- წყალტუბოს მუნიციპალიტეტში წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების უზრუნველყოფა არანაკლებ 95%-სა.
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტში წარმოქმნილი პლასტიკისა და ქაღალდის წყაროსთან სეპარირებული შეგროვების უზრუნველყოფა 2027 წლისთვის არანაკლებ 50%-სა:

დასახული მიზნების და შედეგების მისაღწევად ნარჩენების მართვის გეგმა ითვალისწინებს კონკრეტული ამოცანებისა და ღონისძიებების განხორციელებას.

მიზანი 1. მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების სისტემების გაფართოება და სრულყოფა.

ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის შესაბამისად მუნიციპალიტეტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობაა: მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება და ამ

მიზნით მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სისტემის დანერგვა და გამართულ ფუნქციონირება. ამდენად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს მის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვების არსებული სისტემების შემდგომ განვითარებასა და მუნიციპალური მომსახურების გავრცელებას იმ თემებსა და სოფლებში, სადაც ასეთი მომსახურება ხორციელდება ნაწილობრივ ან არ ხორციელდება საერთოდ. ამასთან ერთად უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების 95% მაჩვენებელი 2026 წლისთვის.

მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისათვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძირითადად გამოყენებული იქნება კონტეინერული სისტემა და ასევე ზარის სისტემა. მთელ რიგ სოფლებში, სადაც ნაწილობრივ უკვე არსებობს წარმოქმნილი ნარჩენების ორგანიზებული შეგროვების სისტემები, დამატებითი კონტეინერების დადგმასთან ერთად იმუშავებს ზარის სისტემაც (ცხრილი #10).

2023-2027 წწ. განმავლობაში შეიქმნება ნარჩენების ორგანიზებულად შეგროვების პირობები ისეთ თემებში, როგორცაა რიონის თემი და ოფურჩხეთის თემი, სადაც ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი ნარჩენების მუნიციპალური სერვისების მიწოდება.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტისათვის ჯერ კიდევ აქტუალურია ნარჩენების მართვის ხარჯების ამოღება, განსაკუთრებით მოსახლეობიდან. მუნიციპალიტეტში არსებული დასუფთავების მოსაკრებელი ვერ უზრუნველყოფს ნარჩენების მართვაზე გაწეული ხარჯების დაფარვას. აუცილებელია შეიქმნას ქმედითი სისტემა, რომელიც დაფუძნებული იქნება პრინციპზე „დამბინძურებელი იხდის“.

მოქმედი კანონების თანახმად, მოსაკრებლის საკითხი საკრებულოს კომპეტენციას განეკუთვნება და რეგულირდება საკრებულოს მიერ შემუშავებული და დამტკიცებული დადგენილებით.

აღნიშნული მიზნის ძირითადი ამოცანებია:

- ამოცანა 1.1. ნარჩენებს შეგროვების მუნიციპალური მომსახურების მიწოდების დანერგვა ისეთ თემებში, სადაც ასეთი მომსახურება ჯერ არ ახორციელდება.
- ამოცანა 1.2. ნარჩენების შეგროვების არსებული მუნიციპალური მომსახურების მიწოდების გაფართოება.
- ამოცანა 1.3. ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესება.
- ამოცანა 1.4. არალეგალური სტიქიური ნაგავსაყრელების აღკვეთა.
- ამოცანა 1.5. ქალაქ წყალტუბოს ტერიტორიაზე დაგვა დასუფთავების გაუმჯობესება.
- ამოცანა 1.6. ნარჩენების მართვის ხარჯების ამოღების უზრუნველყოფა.

ცხრილი #10. მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების და ტრანსპორტირების მოსალოდნელი შედეგები 2027 წლისთვის (ქალაქ წყალტუბოს გარდა).

სოფლის დასახელება	არსებული მდგომარეობა		მოსალოდნელი ცვლილებები	
	არსებული სისტემა	მომსახურებით მოცული მოსახლეობა, %	დასანერგი სისტემა	მომსახურებით მოცული მოსახლეობა, %
ფარცხანაყანევი	კონტეინერები	80%	კონტეინერები, ზარის სისტემა	100%
ქვილიშორი	კონტეინერები, ზარის სისტემა	80%	კონტეინერები, ზარის სისტემა	100%
ჩუნეში	კონტეინერები,	50%	კონტეინერები, ზარის სისტემა	80%
ქვიტირი	კონტეინერები,	80%	კონტეინერები, ზარის სისტემა	100%
ცხუნკური	კონტეინერები,	50%	კონტეინერები, ზარის სისტემა	80%
ყუმისთავი	კონტეინერები	30%	კონტეინერები	80%
გუბისწყალი	კონტეინერები	50%	კონტეინერები	100%
გეგუთი	კონტეინერები, ზარის სისტემა	80%	კონტეინერები, ზარის სისტემა	100%
პატრიკეთი	კონტეინერები, ზარის სისტემა	50%	კონტეინერები, ზარის სისტემა	80%
ტყაჩირი	კონტეინერები, ზარის სისტემა	50%	კონტეინერები, ზარის სისტემა	80%
საყულია	კონტეინერები, ზარის სისტემა	80%	კონტეინერები, ზარის სისტემა	100%
რიონის თემი	არა	არა	კონტეინერები	40%
ოფურჩხეთის თემი	არა	არა	კონტეინერები	40%
გუმბრა	კონტეინერები,	60%	კონტეინერები, ზარის სისტემა	100%
ბანოჯა	კონტეინერები,	60%	კონტეინერები, ზარის სისტემა	100%
ხომული	კონტეინერები, ზარის სისტემა	80%	კონტეინერები, ზარის სისტემა	100%

მიზანი #2. ნარჩენების სეპარირებული შეგროვების თანამედროვე მიდგომების დანერგვა და განვითარების ხელშეწყობა.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2020-2022 წლებში განხორციელდა საპილოტე პროექტი პლასტიკისა და ქალაქის სეპარირებული შეგროვებისათვის, კერძოდ, ექვს სასოფლო თემში, ტურისტულ ობიექტებსა და ქალაქ წყალტუბოში დაიდგა გამჭვირვალე კონტეინერები

პლასტიკის შეგროვებისათვის. მომდევნო წლებში კიდევ უფრო გაფართოვდება პლასტიკის სეპარირება როგორც სასოფლო თემებში, ისე ქალაქ წყალტუბოში.

გაიზრდება ქალაქისა და მუყაოს შეგროვების ოდენობა. გაგრძელდება ქალაქის ნარჩენების შეგროვება სკოლებისა და საჯარო დაწესებულებებში.

გეგმა ითვალისწინებს ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირების უფრო ფართო მასშტაბით დანერგვის ხელშეწყობას, განსაკუთრებით იქ, სადაც გავრცელებულია მებოსტნეობა და მემწვანილეობა.

მწვანე კომპოსტირებადი ნარჩენების კომპოსტირების საპილოტე პროექტი განხორციელდება ქალაქ წყალტუბოში. კერძოდ, შეიქმნება საკომპოსტე მოედანი, სადაც განხორციელდება პარკებისა და ხეივნებში წარმოქმნილი მწვანე ნარჩენების კომპოსტირება. რაც საგრძნობლად შეამცირებს გასატანი ნარჩენების რაოდენობას.

აღნიშნული სტრატეგიული მიზნის ამოცანებია:

ამოცანა 2.1. პლასტიკისა და ქალაქის ნარჩენების სეპარირებული შეგროვების უზრუნველყოფა.

ამოცანა 2.2. ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირების ხელშეწყობა.

მიზანი #3. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის შესახებ.

გეგმა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს როგორც გარემოსცდავითი ცნობიერების ამაღლების აქტივობებს, ისე ნარჩენების მართვის შესახებ ინფორმაციისა და ცოდნის გავრცელების საკითხებს. ნარჩენების მართვის თანამედროვე მიდგომების დანერგვაში, კერძოდ წყაროსთან სეპარირების განხორციელებისათვის, მოსახლეობას განსაკუთრებული როლი ეკისრება. გეგმა ითვალისწინებს როგორც გარემოსცდევით საგანმანათლებლო, ისე საინფორმაციო სახის საქმიანობებს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისათვის. ერთ-ერთ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ ახალგაზრდები (სკოლების მოსწავლეები, საბავშვო ბაღების აღსაზრდელები დაა.შ.).

გეგმა ასევე ითვალისწინებს ისეთი ღონისძიებების ორგანიზებას, როგორცაა დასუფთავების და ხეების დარგვის აქციები, განხორციელდება პუბლიკაციები და სხვა.

მესამე მიზნის ღონისძიებათა რეალიზაციაში ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად აქტიურად იქნებიან ჩართული ადგილობრივი, თუ რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციები, მუნიციპალიტეტში მოქმედი სასწავლო დაწესებულებები და სხვა დაინტერესებული პირები.

აღნიშნული სტრატეგიული მიზნის ამოცანებია:

ამოცანა 3.1. გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობა.

ამოცანა 3.2. ნარჩენების თანამედროვე მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ამოცანა 3.3. გარემოსდაცვით აქციების ორგანიზება

6. მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმები

მიზანი 1	მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების სისტემების გაფართოება და სრულყოფა.	
ამოცანები	ინდიკატორი	
ამოცანა 1.1	ნარჩენებს შეგროვების მუნიციპალური მომსახურების მიწოდების დანერგვა ისეთ თემებში, სადაც ასეთი მომსახურება ჯერ არ ახორციელდება.	მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება ხორციელდება რიონის და ოფშკვითის თემებში
ამოცანა 1.2	ნარჩენების შეგროვების არსებული მუნიციპალური მომსახურების მიწოდების გაფართოება.	ხორციელდება არანაკლებ 95% მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება
ამოცანა 1.3	ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესება.	შემენილია ახალი 5 ერთეული სპეციალური მანქანა ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირებისათვის
ამოცანა 1.4	არალეგალური სტიქიური ნაგავსაყრელების აღკვეთა.	ლიკვიდირებული არალეგალური ნაგავსაყრელების რაოდენობა
ამოცანა 1.5	ქალაქ წყალტუბოს ტერიტორიაზე დაგვა დასუფთავების გაუმჯობესება.	ქუჩების რაოდენობის არანაკლებ 50%-ზე ხორციელდება დაგვა-დასუფთავება
ამოცანა 1.6	ნარჩენების მართვის ხარჯების ამოღების უზრუნველყოფა.	ნარჩენების მართვის ხარჯების ამოღების მაჩვენებელი

ამოცანა 1.1. ნარჩენებს შეგროვების მუნიციპალური მომსახურეობის მიწოდების დანერგვა ისეთ თემებში, სადაც ასეთი მომსახურეობა ჯერ არ ახორციელდება.

აქტივობა		შესრულების ვადა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	პასუხისმგებელი შესრულებაზე	ღირებულება
1.1.1	ნარჩენების შეგროვების კონტეინერული სისტემის უზრუნველყოფა რიონის თემში (სოფლები რიონი, სორმონი, ჭოლევი)	2023-2027	ხორციელდება მუნიციპალური ნარჩენების არანაკლებ 40% შეგროვება კონტეინერული მეთოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია	
1.1.2	ნარჩენების შეგროვების კონტეინერული სისტემის უზრუნველყოფა ოფურჩხეთის თემში (სოფლები ოფურჩხეთი, ჟონეთი)	2023-2027	ხორციელდება მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების კონტეინერული მეთოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია	

ამოცანა 1.2 ნარჩენების შეგროვების არსებული მუნიციპალური მომსახურეობის მიწოდების გაფართოება.

აქტივობა		შესრულების ვადა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	პასუხისმგებელი შესრულებაზე	ღირებულება
1.2.1	მუნიციპალური ნარჩენების 100%-ით შეგროვების უზრუნველყოფა თემებში: ფარცხანაყანევი, ქვილიშორი, ქვიტირი, გუბისწყალი, გეგუთი, ბანოჯა, ხომული, გუმბრა.	2023-2027	ორგანიზებული შეგროვებით მოცულია ნარჩენების 100%	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია	
1.2.2	მუნიციპალური ნარჩენების 80%-ით შეგროვების უზრუნველყოფა	2023-2027	ორგანიზებული შეგროვებით	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის	

	თემებში: ჩუნეში, ყუმისთავი, პატრიკეთი, ტყაჩირი.		მოცულია ნარჩენების 80%	მერია	
ამოცანა 1.3. ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესება.					
აქტივობა		შესრულების ვადა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	პასუხისმგებელი შესრულებაზე	ღირებულება
1.3.1	სპეციალური დანიშნულების მანქანების შეძენა: - ნაგავმზიდები 10 მ ³ , რაოდენობა-2 - ნაგავმზიდი 16მ ³ , რაოდენობა-2 ცალი - მაღალი გამავლობის მანქანა , რაოდენობა -1	2023-2027	შეძენილია 5 ერთეული ახალი სპეციალური დანიშნულების მანქანა	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია	
1.3.2	ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერების შეძენა: - კონტეინერები მოცულობით 1,1მ ³ - 400 ცალი - კონტეინერი 240ლ -100 ცალი	2023-2027	შეძენილია 400 ცალი კონტეინერი 1.1მ ³ , 240 ლ - 100 ცალი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია	
ამოცანა 1.4 არალეგალური სტიქიური ნაგავსაყრელების აღკვეთა.					
აქტივობა		შესრულების ვადა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	პასუხისმგებელი შესრულებაზე	ღირებულება
1.4.1	არალეგალური სტიქიური ნაგავსაყრელების ეტაპობრივი აღკვეთა (ნარჩენების გატანა და კონტროლის დაწესება) და მოწესრიგება, შესაბამის ადგილებში	2023-2024	ლიკვიდირებულია არანაკლებ ორი არალეგალური ნაგავსაყრელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია	

	კონტეინერების განთავსება.				
ამოცანა 1.5 ქალაქ წყალტუბოს ტერიტორიაზე დაგვა დასუფთავების გაუმჯობესება.					
აქტივობა		შესრულების ვადა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	პასუხისმგებელი შესრულებაზე	ღირებულება
1.5.1	ქალაქ წყალტუბოს ქუჩების დაგვა-დასუფთავების გაფართოება	2023-2027	ხორციელდება არანაკლებ 50% ქუჩების დაგვადასუფთავება	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია	
ამოცანა 1.6. ნარჩენების მართვის ხარჯების ამოღების უზრუნველყოფა.					
აქტივობა		შესრულების ვადა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	პასუხისმგებელი შესრულებაზე	ღირებულება
1.6.1	მოსაკრებლის სრული ამოღების სისტემის შემუშავება და ეტაპობრივი დანერგვა	2023-2026	მიღწეულია მოსაკრებლის ამოღების 100% მაჩვენებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია	

მიზანი 2	ნარჩენების სეპარირებული შეგროვების თანამედროვე მიდგომების დანერგვა და განვითარების ხელშეწყობა	
ამოცანები		ინდიკატორი
ამოცანა 2.1	პლასტიკისა და ქაღალდის ნარჩენების სეპარირებული შეგროვების უზრუნველყოფა.	განცალკევებულად შეგროვებული პლასტიკის მაჩვენებელი- 50%. განცალკევებულად შეგროვებული ქაღალდის/მუყაოს მაჩვენებელი - 50%.

ამოცანა 2.2	ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირების ხელშეწყობა.	შექმნილია მწვანე ნარჩენების კომპოსტირების მოედანი ქ.წყალტუბოში. ფერმერული მეურნეობები იყენებენ ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირებას. შემცირდა ნაგავსაყრელზე გასატანი ნარჩენების რაოდენობა.
-------------	---	---

ამოცანა 2.1. ნარჩენების სეპარირებული შეგროვების თანამედროვე მიდგომების დანერგვა და განვითარების ხელშეწყობა					
აქტივობა		შესრულების ვადა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	პასუხისმგებელი შესრულებაზე	ღირებულება
2.1.1	პლასტიკის ნარჩენების სეპარირებული შეგროვების უზრუნველყოფა ქალაქ წყალტუბოს მთელ ტერიტორიაზე. დამატებითი კონტეინერების შექმნა და განთავსება ქალაქის ტერიტორიაზე	2023-2027	განცალკევებული პლასტიკის შეგროვების მაჩვენებელი- არანაკლებ 50%	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია	
2.1.2	პლასტიკის ნარჩენების სეპარირებული შეგროვების უზრუნველყოფა უკვე არსებულ ლოკაციებზე (ფარცხანაყანევი, ქვიტირი, მალლაკი, გეგუთი, მუხიანი)	2023-2027	განცალკევებული პლასტიკის შეგროვების მაჩვენებელი- არანაკლებ 50%	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია	
2.1.3	პლასტიკის ნარჩენების სეპარირებული შეგროვების დანერგვა ახალ ლოკაციებზე (არანაკლებ სამ სასოფლო თემში)	2023-2027	განცალკევებული პლასტიკის შეგროვების მაჩვენებელი- არანაკლებ 50%	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია	

2.1.4	სპეციალური კონტეინერების შექმნა პლასტიკის სეპარირებული შეროვებისათვის	2024-2025	შექმნილია არანაკლებ 50 კონტეინერი 1.1 მ ³ მოცულობის.	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია	75000 ლარი
2.1.5	მუყაოს ნარჩენების შეროვების ორგანიზება. მიმღები პუნქტის შექმნა.	2024-2027	შეროვებულია წარმოქმნილი მუყაოს ნარჩენების არანაკლებ 50%	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია	
2.1.6	ქაღალდის განცალკევებული შეროვება სკოლებსა და საჯარო დაწესებულებებში	2023-2027		წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია	

ამოცანა 2.2 ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირების ხელშეწყობა.

აქტივობა		შესრულების ვადა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	პასუხისმგებელი შესრულებაზე	ღირებულება
2.2.1	მწვანე ნარჩენების კომპოსტირების ცენტრის შექმნა (მშენებლობა, ტექნიკის შექმნა)	2023-2027	შექმნილია და ფუნქციონირებს კომპოსტირების ცენტრი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია	700 000 ლარი
2.2.2	ინდივიდუალური კომპოსტირების პოპულარიზაცია	2023-2027	შექმნილია ინდივიდუალური კომპოსტირების არანაკლებ 10 ლოკაცია.	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია	
2.2.3	ტრენინგების ჩატარება კომპოსტირების შესახებ სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისათვის	2023-2025	ჩატარებულია არანაკლებ 4 ტრენინგი. არანაკლებ 100 ადამიანი დატრენინგებულია კომპოსტირების	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია, პარტნიორი ორგანიზაციები	

			საკითხებში.		
--	--	--	-------------	--	--

მიზანი 3	საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის შესახებ.				
ამოცანები			ინდიკატორი		
ამოცანა 3.1	გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობა.	განხორციელებულია არანაკლებ 5 სასკოლო პროექტი მოსწავლეების მონაწილეობით. არანაკლებ 200 მოსწავლე ჩართულია ეკოკლუბებისა და რეციკლირების კლუბების საქმიანობაში. ჩატარებულია არანაკლებ 10 გარემოსდაცვითი შემეცნებითი ღონისძიება.			
ამოცანა 3.2	ნარჩენების თანამედროვე მიდგომების შესახებ ინფორმაციის ხელისაწვდომობის უზრუნველყოფა.	ჩატარებულია არანაკლებ 5 ტრენინგი და არანაკლებ 5 ვორქშოპი რეციკლირებისა და კომპოსტირების შესახებ.			
ამოცანა 3.3	გარემოსდაცვით აქციების ორგანიზება				

ამოცანა 3.1 გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობა					
აქტივობა		შესრულების ვადა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	პასუხისმგებელი შესრულებაზე	ღირებულება
3.1.1	გარემოსდაცვითი საგანმანათლებლო პროექტების შექმნა და განხორციელება	2023-2027	განხორციელებულია არანაკლებ 5 სასკოლო პროექტი მოსწავლეების მონაწილეობით	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია, საჯარო სკოლები, პარტნიორი ორგანიზაციები	
3.1.2	ეკოკლუბებისა და რეციკლირების კლუბების საქმიანობის	2023-2027	არანაკლებ 200 მოსწავლე ჩართულია	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის	

	ხელშეწყობა საჯარო სკოლებსა და ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრში.		ეკოკლუბებისა და რეციკლირების კლუბების საქმიანობაში	მერია, საჯარო სკოლები, აიიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი	
3.1.3	მოსწავლეთა მონაწილეობით ეკოვიქტორინებისა და სხვა სახის შეჯიბრებების ორგანიზება.	2023-2027	ჩატარებულია არანაკლებ 10 გარემოსდაცვითი შემეცნებითი ღონისძიება	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია, სკოლები, აიიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი	

ამოცანა 3.2 ნარჩენების თანამედროვე მიდგომების შესახებ ინფორმაციის ხელისაწვდომობის უზრუნველყოფა.

აქტივობა		შესრულების ვადა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	პასუხისმგებელი შესრულებაზე	ღირებულება
3.2.1	ნარჩენების მართვის თანამედროვე მიდგომების შესახებ ტრენინგების ჩატარება	2023-2027	ჩატარებულია არანაკლებ 5 ტრენინგი.	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია, პარტნიორი ორგანიზაციები	2500 ლარი
3.2.2	კომპოსტირების შესახებ ვორქშოპების ორგანიზება სკოლებში	2023-2024	ჩატარებულია არანაკლებ 5 ვორქშოპი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია. პარტნიორი ორგანიზაციები, საჯარო სკოლები	
3.2.3	რეციკლირების, კომპოსტირების და	2023-2025	ინფორმირებულია	წყალტუბოს	2000 ლარი

	ნარჩენების სეპარირების შესახებ პოპულარული პუბლიკაციების (ბუკლეტების, ბროშურებს სახით) მომზადება და დარიგება.		არანაკლებ 1000 ადამიანი	მუნიციპალიტეტის მერია, პარტნიორი ორგანიზაციები	
3.2.4	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსება ნარჩენებს მართვის/რეციკლირების/კომპოსტირების საკითხებზე	2023-2027	ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია	
ამოცანა 3.3 გარემოსდაცვით აქციების ორგანიზება					
აქტივობა		შესრულების ვადა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	პასუხისმგებელი შესრულებაზე	ღირებულება
3.3.1	საზაფხულო ბანაკის ორგანიზება ახალგაზრდებისათვის	2023	ორგანიზებულია საზაფხულო ბანაკი 25 მოსწავლის მონაწილეობით	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია, აიიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი, პარტნიორი ორგანიზაციები	15000 ლარი
3.3.2	დასუფთავების აქციების ორგანიზება	2023-2027	ორგანიზებულია არანაკლებ 10 დასუფთავების აქცია, დასუფთავებულია არანაკლებ 10 ლოკაცია	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია, სკოლები, პარტნიორი ორგანიზაციები	

3.3.3	გამწვანების დღეების ორგანიზება	2023-2027	დარგულია არანაკლებ 1000 ძირი ნერგი.	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია, სკოლები, პარტნიორი ორგანიზაციები	
3.3.4	საერთაშორისო გარემოსდაცვითი დღეების აღნიშვნა	2023-2027	ორგანიზებულია არანაკლებ 10 ღონისძიება	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია, სკოლები, პარტნიორი ორგანიზაციები	
3.3.5	გარემოსდაცვით თემაზე ხატვის კონკურსის ორგანიზება	2024-2027	ყოველწლიურად ორგანიზებულია ხატვის კონკურსი სკოლებს შორის	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია, სკოლები, პარტნიორი ორგანიზაციები	

